საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის

პროპაგანდის კომისია

თბილისის
ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს“ სტადიონი

შემდგენელი ო. ნოზაძე.

მხატვარი გ. გაფრინდაშვილი. ტექრედაქტორი ვ. დოხნაძე

№ 17 (46)

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ., 14. შეკვ. 2471 ტ. 20.000 უე 03323.

„დინამო“

(თბილისი, სსრ კავშირი)

«ДИНАМО»
(ТБИЛИСИ, СССР)

«DINAMO»
(TBILISSI, URSS)

თბილისის
ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს“ სტადიონი

უეფა-ს თასზე
13. IX. 78
დასაწყისი 19 საათზე

„ნაპოლი“

(ნეაპოლი, იტალია)

«НАПОЛИ»
(НЕАПОЛЬ, ИТАЛИЯ)

«NAPOLI»
(NAPOLI, ITALIA)

КЛИСФ: "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

SALUTI AQLI OSPITI ITALIANI!

Oggi i cittadini della capitale georgiana Tbilissi, i tifosi della nostra «Dinamo», Cordialmente salutano i calciatori della «Napoli» che sono arrivati per partecipare nella prima partita del campionato per Coppa UEFA.

L'anno scorso noi abbiamo visto i calciatori italiani sullo stesso stadio quando «Internazionale» era ospite della nostra «Dinamo» nella partita per la Coppa UEFA.

Siamo al corrente del successo che ha il Calcio italiano sulla arena internazionale delle Olimpiadi e campionati mondiali, Noi siamo anche ammiratori della «Squadra Azzurra» e dei bravissimi come Giovanni Rivera, Sandrino Mazzola, Cesare Maldini, Mario Corso, Giovanni Trappattoni, Giacomo Bulgarelli, Dino Zoffa, Luigi Riva, Giacinto Facchetti, Giancarlo Antonioni, Roberto Bettega...

Oggi, quando il calcio nazionale compie 80 anni e la «Dinamo» di Tbilissi festeggia il suo quarantesimo anniversario nella Serie «A», noi ospitiamo il rinomato Club «Napoli».

Napoli e ima citta conosciuta nel nostro paese per il suo sole, le sue famose canzoni e straordinario temperamento dei suoi tifosi che sono appassionati amafori del calcio e della sua squadra Siamo sicuri che nel nostro stadio che ospitare 75 mila persone non saranno posti liberi e amatori del calcio goderanno una bella partita.

Amatori dello sport della nostra citta salutano non soltanto i calciatori della «Napoli» ma anche i tifosi italiani che hanno fatto un viaggio di molti chilometri per essere oggi accanto a noi.

Speriamo che per tutti questa partita sara indimenticabile con qualsiasi Conto.

SPERIAMO CHE I NOSTRI OSPITI CONSERVERANNO UN BEL RICORDO DEL LORO SOGGIORNO A TBILISSI!

BENVENUTI NELLA CAPITALE DELLA GEORGIA!

სალამი იტალიელ სტუმრებს!

დღეს ჩვენს სტადიონზე საქართველოს დედაქალაქის — თბილისის მაცხოვრებლები და სტუმრები, „დინამოს" გუნდის გულშემატკივრები, გულითადად ესალმებიან იტალიის ქალაქის ნეაპოლის ფეხბურთელებს, რომლებიც ჩვენთან უეფა-ს თასის გათამაშების პირველი მატჩის ჩასატარებლად ჩამოვიდნენ.

იტალიელი ფეხბურთელების თამაში შარშანაც ვიხილეთ ამ სტადიონზე, როდესაც თბილისის „დინამო" ასევე უეფა-ს თასზე საპასუხო მატჩში ასპარეზობდა მილანის „ინტერნაციონალესთან".

ჩვენ ბევრი რამ გვსმენია იტალიის ფეხბურთზე, ვიცით მისი წარმატებების შესახებ დიდ საერთაშორისო სარბიელზე — ოლიმპიურ თამაშებსა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებში, პატივს ვცემთ სახელგანთქმულ „სკუადრა აძურას", იტალიის ტყავის ბურთის შესანიშნავ ოსტატებს ჯოვანი რივერას და სანდრინო მაცოლას, ჩეზარე მალდინისა და მარიო კორსოს, ჯოვანი ტრაპატონისა და ჯაკომო ბულგარელის, დინო ძოფსა და ლუიჯი რივას, ჯაცინტო ფაკეტის, ჯანკარლო ანტონიონის, რობერტო ბეტეგას...

დღეს, როდესაც სამამულო ფეხბურთს 80 წელიწადი უსრულდება, როდესაც თბილისის „დინამო" უმაღლეს ლიგაში თავის საიუბილეო მე-40 ჩემპიონატს ატარებს, ჩვენი სტუმარი პოპულარული „ნაპოლის" კლუბია. ვიცით, რომ ნეაპოლში ისეთივე მცხუნვარე მზეა, როგორც თბილისში, რომ მის ქუჩებში ისეთივე ტკბილი სიმღერები იბადება, როგორც ჩვენთან, ხოლო ტემპერამენტიან ნეაპოლელ გულშემატკივრებს ისევე თავდადებით უყვართ ფეხბურთი და მშობლიური გუნდი, როგორც თბილისელებს თავიანთი „დინამო".

დარწმუნებული ვართ, რომ თბილისის „დინამოს" 75-ათასადგილიან სტადიონზე დღეს არც ერთი თავისუფალი ადგილი არ იქნება და ფეხბურთის მოყვარულები ჭეშმარიტად დაძაბულ და მომხიბლავ სანახაობას იხილავენ.

თბილისელი სპორტის მოყვარულები დღეს „ნაპოლის" კლუბის ფეხბურთელებთან ერთად გულითადად ესალმებიან გულშემატკივრებს, რომლებმაც ათასობით კილომეტრი გადასერეს, რათა ჩვენთან ერთად ყოფილიყვნენ ამ ტრიბუნებზე.

დაე, ყველა თქვენთაგანისათვის დაუვიწყარი იყოს ამ მატჩის შთაბეჭდილებანი რა შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს იგი. დაე, ჩვენს სტუმრებს — იტალიელ გულშემატკივრებს საუკეთესო მოგონებანი გაჰყვეთ თბილის—ქალაქიდან.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს დედაქალაქში!

თბილისი და თბილისელები გულთბილად ესალმებიან იტალიელ სტუმრებს!

КЛИСФ.

დღეს ჩვენს სტადიონზე უეფა-ს თასის 21-ე გათამაშების ოცდამეთოთხმეტედფინალის პირველ მატჩში ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამო“ და ნეაპოლის (იტალია) „ნაპოლი“.

საპასუხო მატჩი გაიმართება 27 სექტემბერს ნეაპოლში.

ასპარეზობაში დღეს ეგმეცვა კიდევ სამი საბჭოთა კლუბი:
ჩემპიონთა თასზე: „ვალენციაკ!ოსკენ ხაკა „ვალენციაკოსკენი (ფინეთი)
„დინამო“ კიევი — 1/16 ფინალი

ოასეგის თასზე: „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „შახტიორი“ დონეცკი — 1/16 ფინალი

უეფა-ს თასზე: „ტორკედო“ მოსკოვი — „მოლდე“ მოლდე (ნორვეგია) — 1/32 ფინალი.

ИТАЛЬЯНСКИЙ ФУТБОЛ

В традиционной классификации популярного еженедельника «Франс футбол» лучших европейских футбольных сборных по итогам 1977 года сборная Италии разделила 9—10-ое места со сборной Румынии.

СРЕДИ клубных команд в сезоне 1976 — 1977 годов журналисты назвали лучшим итальянский клуб «Ювентус».

ЛУЧШИМИ футболистами континента — обладателями «Золотого мяча» были итальянские футболисты О. Сивори («Ювентус» Турин) — 1961 год и Д. Ривера («Милан») — 1969 год.

В 1977 году в 22-ом референдуме «Франс футбола» лучший футболист Италии Роберто Беттега («Ювентус» Турин) был четвертым, Каузио («Ювентус») — 14 — 17-ым, Антониони («Фиорентина») — 26 — 32-ым.

ОБЛАДАТЕЛЕМ Межконтинентального кубка были итальянские клубы «Интернационале» (1964 и 1965 годы) и «Милан» (1969 год).

ЗНАМЕНИТЫЙ полузащитник сборной Италии и команды «Милан», 34-летний Джованни Ривера провел в составе своего клуба в чемпионатах страны 500 матчей.

უეფა-ს თასის ლაურეატები

I 1955-1958 წწ. — ქ. ბარსელონას ნაკრები (ესპანეთი)
II. 1958-1960 წწ. — „ბარსელონა“ ბარსელონა (ესპანეთი)
III. 1960-1961 წწ. — „რომა“ რომი (იტალია).
IV 1961-1962 წწ. — „ვალენსია“ ვალენსია (ესპანეთი)
V. 1962-1963 წწ. — „ვალენსია“ ვალენსია (ესპანეთი).
VI. 1963-1964 წწ. — „სარაგოსა“ სარაგოსა (ესპანეთი)
VII. 1964-1965 წწ. — „ფერენცვაროში“ ბუდაპეშტი (უნგრეთი)
VIII. 1965-1966 წწ. — „ბარსელონა“ ბარსელონა (ესპანეთი)
IX. 1966-1967 წწ. — „დინამო“ ზაგრები (იუგოსლავია)
X. 1967-1968 წწ. — „ლიდს იუნაიტედი“ ლიდსი (ინგლისი)
XI. 1968-1969 წწ. — „ნიუკასლ იუნაიტედი“ ნიუკასლი (ინგლისი)
XII. 1969-1970 წწ. — „არსენალი“ ლონდონი (ინგლისი)
XIII. 1970-1971 წწ. — „ლიდს იუნაიტედი“ ლიდსი (ინგლისი)
XIV. 1971-1972 წწ. — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ ლონდონი (ინგლისი)
XV. 1972-1973 წწ. — „ლივერპული“ ლივერპული (ინგლისი)
XVI. 1973-1974 წწ. — „ფეიენოორდი“ როშორდემი (ჰოლანდია)
XVII. 1974-1975 წწ. — „ბორუსია“ მიონჰენგლადბახი (გფრ)
XVIII. 1975-1976 წწ. „ლივერპული“ ლივერპული (ინგლისი)
XIX. 1976-1977 წწ. — „იუვენტუსი“ ტურინი (იტალია)
XX. 1977-1978 წწ. — პსვ „ეინდჰოვენი“ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
XXI. 1978-1979 წწ. — ?

КЛИСТ-ЛАЛИ

უეფა-ს თასზე

1978-1979 წწ. გათამაშების პირველი ეტაპის წილისყრის შედეგად, რომელიც ა. წ. 11 ივლისს ციურიხში, უეფა-ს შტაბ-ბინაში გაიმართა, ერთმანეთს ხვდებიან (პირველად დასახელებული გუნდები დღეს თავის მოედანზე ატარებენ მატჩებს):

„დუკლა" პრაღა (ჩეხოსლოვაკია) — „ლანეროსი" ვიჩენცა (იტალია).
ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე" (ბულგარეთი) — „ვალენსია" (ესპანეთი).
„ბორუსია" მიონხენგლადბახი (გფრ)-„შტურმი" გრაცი (ავსტრია).
„არჯესი" პიტეშტი (რუმინეთი) — „პანატინაიკოსი" (საბერძნეთი).
„ატლეტიკო" ბილბაო (ესპანეთი) — „აიაქსი" ამსტერდამი (ჰოლანდია).
„ევერტონი" (ინგლისი) — „ფინ ჰარპსი" (შოტლანდია).
„ეუნესი" ეში (ლიუქსემბურგი) — „ლოზანა" (შვეიცარია).
„ნანტი" (საფრანგეთი) — „ბენფიკა" (პორტუგალია).
„რეალი" ხიხონი (ესპანეთი) — „ტორინო" (იტალია).
„სპორტინგი" ბრაგა (პორტუგალია) — „ხიბერნიანი" (მალტა).
„გალათასარაი" (თურქეთი) — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" (ინგლისი).
„დინამო" ბერლინი (გდრ) — „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია).
„1903 კოპენჰაგენი"(დანია) — „კუოპიო პალოსეურა" (ფინეთი).
„ბაზელი" (შვეიცარია) — „შტუტგარტი" (გფრ).
„ელფსბორგი" (შვეცია) — „რესინგი" სტრასბურგი (საფრანგეთი).
„სტანდარდი" ლიეჟი (ბელგია) — „დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია).
„სტარტი" (ნორვეგია) — დანიის მეორე გუნდი.
„არსენალი" (ინგლისი) — „ლოკომოტივი" ლაიპციგი (გდრ).
„კარლ ცეისი" იენა (გდრ) — „ლიერსი" (ბელგია).
„გლენტორანი" (ჩრდილოეთ ირლანდია) — „ვესტმანაეიარი" (ისლანდია).
„ტვენტე" (ჰოლანდია) — „მანჩესტერ სიტი" (ინგლისი).
„ჰიბერნიანი" (შოტლანდია) — „ნორჩეპინგი" (შვეცია).
„პოლიტეხნიკა" ტიმიშოარა (რუმინეთი) — უნგრეთის მეორე გუნდი.
„პეზოპორიკოსი" (კვიპროსი) — „შლიონსკი" ვროცლავი (პოლონეთი).
„ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) — „ლევსკი-სპარტაკი" (ბულგარეთი).
„მილანი" (იტალია) — „ლოკომოტივი" კოშიცე (ჩეხოსლოვაკია).
„ჰაიდუკი" სპლიტი (იუგოსლავია) — „რაპიდი" ვენა (ავსტრია).
„ჰერტა" (დასავლეთი ბერლინი) — „თრაკია" პლოვდივი (ბულგარეთი).
„დუისბურგი" (გფრ) — „ლეხი" პოზნანი (პოლონეთი).
უნგრეთის პირველი გუნდი — „ადანასპორი" (თურქეთი).

თბილისის «დინამო» უეფა-ს თასზე

1972-1973 წწ.

„დინამო" — „ტვენტე" ენსხედე (ჰოლანდია) — 3:2 (1:1).
„ტვენტე" — „დინამო" — 2:0 (2:0)

1973-1974 წწ.

„დინამო" — „სლავია" სოფია (ბულგარეთი) — 4:1 (2:0).
„სლავია" — „დინამო" — 2:0 (0:0)
„დინამო" — ოფკ ბელგრადი (იუგოსლავია) — 3:2 (2:1)
ოფკ — „დინამო" — 1:5 (0:3).
„დინამო" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" ლონდონი (ინგლისი) — 1:1 (0:1).
„ტოტენჰემ ჰოტსპური" — „დინამო" — 5:1 (1:0).

1977-1978 წწ.

„ინტერნაციონალე" მილანი (იტალია) — „დინამო" — 0:1 (0:0).
„დინამო" — „ინტერნაციონალე" —0:0
„კბ კოპენჰაგენი" კოპენჰაგენი (დანია) — „დინამო" — 1:4 (0:2).
„დინამო" — „კბ კოპენჰაგენი" — 2:1 (0:0).
„დინამო" — „გრასჰოპერსი" ციურიხი (შვეიცარია) — 1:0 (1:0)
„გრასჰოპერსი"—„დინამო"—4:0 (1:0).

თბილისის «დინამო» საკავშირო ჩემპიონატებსა და თასზე

LA «DINAMO» DI TBILISSI NEL CAMPIONATI DEL PAESE E NEI CAMPIONATI PER LA COPPA

წ.	ჩ.	თ.
1936	3	ფ
1937	4	ფ
1938	6	1/2
1939	2	1/2
1940	2	—
1944	—	1/8
1945	4	1/4
1946	3	ფ
1947	3	1/4
1948	4	1/2
1949	6	1/4
1950	3	1/8
1951	2	1/16
1952	4	1/8
1953	2	1/4
1954	8	1/16
1955	9	1/4
1956	8	—
1957	7	1/4
1958	9	1/8
1959	8	—
1960	3	ფ
1961	7	1/8
1962	3	1/8
1963	5	1/16
1964	1	1/8
1965	6	1/2
1966	7	1/1
1967	3	1/8
1968	7	1/8
1969	3	1/16
1970	4	ფ
1971	3	1/4
1972	3	1/4
1973	5	1/8
1974	3	1/2
1975	8	1/2
1976	3,3	თ
1977	2	1/16
1978		1/4

NOTA: თ – vincitore della coppa
ფ – finalista

„ნაპოლი“	«НАПОЛИ»	«NAPOLI»
№ კასტელინი	КАСТЕЛИНИ	CASTELLINI
№ ბრუსკოლეტი	БРУСКОЛЕТТИ	BRUSCOLLETTI
№ ვინაცინი	ВИНАЦИНИ	VINAZINI
№ ფერარიო	ФЕРРАРИО	FERRARIO
№ კაპორალე	КАПОРАЛЕ	CAPORALE
№ კაზო	КАЗО	CASO
№ ფილიპი	ФИЛИППИ	FILIPPI
№ პინი	ПИНИ	PINI
№ კაპონე	КАПОНЕ	CAPONE
№ სავოლდი	САВОЛЬДИ	SAVOLDI
№ კატელანი	КАТЕЛЛАНИ	CATTELLANI
№ ვინაზანი	ВИНАЗЗАНИ	VINAZZANI
№ ტესერი	ТЕСЕРИ	TESSERI
№ მაიო	МАИО	MAIO
№ პელეგრინი	ПЕЛЕГРИНИ	PELLEGRINI
უფროსი მწვრთნელი — ჯოვანი დი მარციო	Старший тренер — ДЖОВАННИ ДИ МАРЦИО	Capo allenatore – CIOVANNI DI MARZIO
გუნდის კაპიტანი — ჯუზეპე ბრუსკოლეტი	Капитан команды — ДЖУЗЕППЕ БРУСКОЛЕТТИ	Capo squadra – CIUSEPPE BRUSCOLLETTI

„დინამო“	«ДИНАМО»	«DINAMO»
№ გოგია	ГОГИЯ	GOGHIA
№ გაბელია	ГАБЕЛИЯ	GABELIA
№ კოსტავა	КОСТАВА	COSTAVA
№ ხიზანიშვილი	ХИЗАНИШВИЛИ	KISANISCVILI
№ კანთელაძე	КАНТЕЛАДЗЕ	CANTELAZE
№ სულაქველიძე	СУЛАКВЕЛИДЗЕ	SULACVELIZE
№ მუჯირი	МУДЖИРИ	MUGIRI
№ გ. მაჭაიძე	Г. МАЧАИДЗЕ	MACIAIZE G.
№ მ. მაჭაიძე	М. МАЧАИДЗЕ	MACIAIZE M.
№ ქორიძე	КОРИДЗЕ	CORIZE
№ დარასელია	ДАРАСЕЛИЯ	DARASSELIA
№ ჩივაძე	ЧИВАДЗЕ	CIVAZE
№ კოპალეიშვილი	КОПАЛЕЙШВИЛИ	COPALEISCVILI
№ გუცაევი	ГУЦАЕВ	GUZAEF
№ ყიფიანი	КИПИАНИ	CHIPIANI
№ შენგელია	ШЕНГЕЛИЯ	SCENGHELIA
№ ჭელებაძე	ЧЕЛЕБАДЗЕ	CELEBAZE
უფროსი მწვრთნელი — ნოდარ ახალკაცი	Старший тренер — НОДАР АХАЛКАЦИ	Capo allenatore – NODAR AKALCAZI
გუნდის კაპიტანი — მანუჩარ მაჭაიძე	Капитан команды — МАНУЧАР МАЧАИДЗЕ	Capo squadra – MANUCIAR MACIAIZE

მსაჯთა ბრიგადა: ბუცეკი, ბინდი, ადანიჩი (ყველა — ავსტრია).
უეფა-ს წარმომადგენელი — მატჩის ინსპექტორი: გულდე (შვეიცარია).
СУДЕЙСКАЯ БРИГАДА: БУЦЕК, БИНД, АДАНИЧ (ВСЕ — АВСТРИЯ).
ПРЕДСТАВИТЕЛЬ УЕФА — ИНСПЕКТОР МАТЧА: ГУЛЬДЕ (ШВЕЙЦАРИЯ).
ARBITRI: BUZEC, BIND, ADANICH (AUSTRIA).
RAPPRESENTANTE DELL UEFA: GULDE (SCVEIZARIA).

КЛУБ "НАШИ В ЕВРОКУБКАХ"

იტალიური „კალჩიო“

იტალიის ნაკრები...

...1936 XI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (ბერლინი)

ფინალში ანგარიშით 2:1 (0:0) მოუგო ავსტრიის ნაკრებს.

გუნდის შემადგენლობა: ვენტურინი, ფონი, რავა, ბალდო, პიჩინი, ლოკატელი, ფროსი, მარკინი, ბერტონი, ბიაჯი, გაბრიოტი.

...1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონი (იტალია).

ფინალში ანგარიშით 2:1 (1:1, 0:0) დაამარცხა საფრანგეთის ნაკრები.

გუნდის შემადგენლობა: კომბი, მონცეგლიო, ალემანდი, ფერარისი, მონტი, ბერტოლინი, გუაიტა, მეაცა, სკიავიო, ფერარი, ორსი.

...1938 წლის მსოფლიოს ჩემპიონი (საფრანგეთი)

ფინალში ანგარიშით 4:2 (3:1) დაამარცხა უნგრეთის ნაკრები.

გუნდის შემადგენლობა: ოლივიერი, ფონი, რავა, სერანტონი, ანდრეოლო, ლოკატელი, ბიავიტი, მეაცა, პიოლა, ფერარი, კოლაუსი.

მსოფლიოში დღეს ყველაზე მასობრივი და პოპულარული სპორტული თამაში — ფეხბურთი, ანუ როგორც მას იტალიელები უწოდებენ „კალჩიო“, აპენინებზე მდებარე სამხრეთი ევროპის ამ უძველესმა სახელმწიფომ გასული საუკუნის 90-იან წლებში გაიცნო. „ტუავის ბურთით“ თამაში ისევე როგორც ჩვენთან, იტალიაშიც ინგლისელებმა შემოიტანეს. გენუაში, ტურინში შეიქმნა პირველი ფეხბურთის კლუბები, გაიმართა პირველი მატჩები, ხოლო 1898 წელს ჩატარდა ქვეყნის პირველი ჩემპიონატი (გაიმარჯვა „ჯენოვამ“) შეიქმნა იტალიის ფეხბურთის ფედერაციაც — „ფედერაციონე იტალიანა ჯოკო კალჩიო“, რომელიც 1905 წელს ფიფა-ს წევრი გახდა.

იტალიური ფეხბურთი იმთავითვე მაღალი კლასით — მოთამაშეთა შესაშური ტექნიკით, სისწრაფით, ტემპერამენტით, აგრესიულობით გამოირჩეოდა და საერთაშორისო სარბიელზე საკმაოდ თვალსაჩინო წარმატებებს აღწევდა. კლუბებში ადგილობრივ მკვიდრებთან ერთად გამოჩდნენ „იმპორტული“ ფეხბურთელები, რომელთა შორის იყვნენ ეგრეთწოდებული „სტრანიეროებიც“ (წმინდა უცხოელები) და „ორიუნდიც“ (იტალიური წარმოშობის უცხოური მოთამაშეები — ძირითადად სამხრეთ ამერიკიდან). მათი მოსვლით იტალიური „კალჩიო“ კიდევ უფრო გაძლიერდა და 1934-1938 წლებში მის ეროვნულ ნაკრებს — „სკუადრა აძურას“ („ცისფერ გუნდს“) უკვე ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც იტალიური ფეხბურთის რიგები საგრძნობლად შეთხელდა, კვლავ, ამჯერად გაცილებით უფრო დიდი დოზით, იჩინა თავი უცხოურ ფეხბურთელთა იმპორტმა. ფეხბურთელები ახლა ჩამოჰყავდათ არა მარტო სამხრეთ ამერიკიდან, არამედ ევროპიდანაც — სკანდინავიიდან, ინგლისიდან. მათ საკვანძო ადგილები დაიკავეს ქვეყნის კლუბებში, განსაკუთრებით თავდასხმაში და საგრძნობი დალი დაამჩნიეს იტალიის ფეხბურთს, ადგილობრივი მოთამაშეების აღზრდისა და სპორტული დაოსტატების საქმეს.

1962 წელს „სკუადრა აძურას“ სათავეში ჩაუდგა სახელგანთქმული მწვრთნელი ედმონდო ფაბრი. შედეგმაც არ დაიყოვნა: იტალიელებმა ზედიზედ დაამარცხეს ბრაზილიის (3:0), ავსტრიის (2:1 და 1:0), თურქეთის (6:0 და 1:0) ნაკრები გუნდები. 1963 წლის 13 ოქტომბერს გაიმართა იტალიისა და სსრ კავშირის (უფროსი მწვრთნელი კ. ბესკოვი) ნაკრებთა პირველი მატჩი. ეს იყო ევროპის თასის გათამაშების მერვედფინალის პირველი შეხვედრა (სპასუხო გაიმართა რომში 10 ნოემბერს — 0:0), რომელიც მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შეიკრა 100 ათასი მაყურებლის თანდასწრებით (მათ შორის იყო მრავალი იტალიელი გულშემატკივარი). ძალზე საინტერესო ლამაზი ორთაბრძოლა (მას სჭიდა პოლონელი არბიტრი რ. ბანასიუკი) საბჭოთა ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა — 2:0. აღსანიშნავია, რომ ჩვენს გუნდში ამ დღეს თამაშობდა ორი ქართველი ფეხბურთელი—სლავა მეტრეველი (თბილისის „დინამოდან“) და რამაზ ურუშაძე (ქუთაისის „ტორპედოდან“), რომლებმაც, საყოველთაო აღიარებით, ვ. ივანოვთან (გუნდის კაპიტანი), ვ. ვორონინთან, ვ. პონედელნიკთან ერთად საუკეთესოდ ჩაატარეს მთელი მატჩი. მიუხედავად დამარცხებისა, იტალიელებმა ჩვენს მაყურებელს საკმაოდ კარგი თამაში აჩვენეს. განსაკუთრებით გამოვყოფდით მეკარე ვ. ნეგრის, მცველებს ჩ. მალდინის (გუნდის კაპიტანი) და ჯ. ფაკეტის, ნახევარმცველ ჯ. ტრაპატონის, თავდამსხმელ ჯ. რივერასა და მ. კორსოს.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა — იტალიურ ფეხბურთს მრავალი გამარჯვებაც ჰქონდა და მარცხიც. „სკუადრა აძურამ“ 1968 წლის ევროპის ჩემპიონის სპატიო სახელი მოიპოვა, მსოფლიოს IX ჩემპიონატზე მექიკოში ვერცხლის მედლებს დაეუფლა (ფინალში წააგო ბრაზილიასთან — 1:4).

მომდევნო ჩემპიონატზე — მიუნხენში იტალიელებმა ვერ მოახერხეს თავიანთი ჯგუფიდან „გამოსვლა“. წინასწარ ტურნირში ისინი მხოლოდ მესამენი იყვნენ და ფინალის მილმა დარჩნენ.

მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე, იტალიელთა ფიასკოს მოჰყვა მათი ცნობილი მწვრთნელის ფერუჩიო ვალკარეჯის განთავისუფლება, რომელიც უკიდურესმა ექსპერიმენტატორმა ფულვიო ბერნანდინიმ შეცვალა. მალე ახალი მწვრთნელიც გადადგა და საქმეები თანაშემწეს ენზო ბეარზოტს გადააბარა.

ახალმა მწვრთნელმა თავიდანვე უარი თქვა გაუთავებელ ექსპერიმენტებზე. ენერგიულად უარყო მასირებული თავდაცვის სისტემა — დრომოჭმული „კატენაჩიო“ და მთელი აქცენტი შეტევაზე გადაიტანა.

არგენტინის XI მსოფლიოს ჩემპიონატზე „სკუადრა აძურამ“ შემტევი, მაღალტექნიკური, საინტერესო თამაშით თავიდანვე აალაპარაკა ფეხბურთის სპეციალისტები. ბევრნი მას ჩემპიონობასაც უწინასწარმეტყველებდა. მაგრამ იტალიელებმა ერთობ უფერულად ჩაატარეს გათამაშების მეორე ნახევარი და საწადელს ვერ მიაღწიეს — მხოლოდ მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ. ერთი კი ცხადი იყო: „სკუადრა აძურა“ კვლავ ჩადგა უძლიერესთა რიგებში.

— პირადათ მე კმაყოფილი ვარ არა ადგილით, რომელზეც იტალიის ნაკრები გამოვიდა — განაცხადა ე. ბეარზოტმა — არამედ ჩვენი თამაშით. როგორც ჩანს, სწორი გზით მივდივართ და ამას ბოლოს და ბოლოს შეუძლია კარგი შედეგიც მოგვიტანოს. ახლა ჩვენი უახლოესი ამოცანაა ევროპის 1980 წლის ჩემპიონატში გამოსვლა, რომლის ფინალი იტალიის ოთხ ქალაქში გაიმართება. ახლ რომ, მასპინძლები პრივილეგირებულ მდგომარეობაში ვიქნებით, ვით არგენტინელები ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე. შევეცდებით, მოვიგოთ ჩემპიონობა!

1963 წლის 13 ოქტომბრის მატჩი მოსკოვში. სლავა მეტრეველისა და ჯაცინტო ფაკეტის ორთაბრძოლა.



ნეაპოლი —

მზისა და სიმღერების ქალაქი

„ნახე ნეაპოლი და მერე თუ გინდა მოკვდი!" — ამბობენ იტალიელები ამ ულამაზესი ქალაქის შესახებ.

ვინ იცის რამდენჯერ გვინახავს იტალიის „სამხრეთ დედაქალაქად" წოდებული ნეაპოლი საფოსტო ბარათებსა თუ მარკებზე, ფერად ალბომებსა თუ კინოეკრანზე. ნეაპოლის სილამაზით აღტაცებული იყო მ. გორკი, რომელიც მის მახლობლად კუნძულ კაპრიზე ცხოვრობდა ემიგრაციაში ყოფნისას. განუმეორებელი არემარეთი მოიხიბლა მასთან 1906 წელს რამდენიმე დღით ჩასული ვ. ი. ლენინი.

იტალიის მესამე ქალაქი ნეაპოლი მოსახლეობის რაოდენობის მხრივ (1,3 მილიონი მაცხოვრებელი 1972 წლის მონაცემების მიხედვით) ნეაპოლიტანური ყურეს სანაპიროზე ქვეყნის „საშინელებასა და სიამაყეს" — მარადმბოლავი ვულკანის, სახელგანთქმული ვეზუვის ძირას მდებარეობს. ქალაქი ახლომდებარე სხვა მცირე ქალაქებთან ერთად შეადგენს ე. წ. „დიდ ნეაპოლს" (2 მილიონზე მეტი მაცხოვრებელი).

ნეაპოლი დღეს იტალიის უმთავრესი საზღვაო პორტი, თვალსაჩინო სატრანსპორტო კვანძი, საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთი ცნობილი ცენტრია. მთელს მსოფლიოშია ცნობილი ნეაპოლიტანური მუსიკალური სკოლა — საკომპოზიტორო და საშემსრულებლო, რომელსაც საფუძველი აქ ჯერ კიდევ 17 საუკუნის მიწურულს ჩაეყარა. ნეაპოლელები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი საოპერო თეატრით „სან-კარლოთი", რომელიც 1737 წელს დაარსდა — ოთხი ათეული წლით ადრე სახელგანთქმულ მილანურ „ლა სკალაზე". სწორედ ნეაპოლის ოპერის სცენაზე პირველად ახმიანდა როსინის, ბელინის, დონიცეტის და სხვა გამოჩენილ იტალიელ კომპოზიტორთა მრავალი ოპერა. ამაყობენ ნეაპოლელები თავიანთი უნივერსიტეტითაც (ისიც უძველესია იტალიაში—დაარსებულია 1224 წელს), ეროვნული მუზეუმით, „სან ფერდინანდოს" დრამატული თეატრით, რომელსაც სათავეში უდგას ცნობილი მსახიობი და რეჟისორი (დრამისა და კინოსი) ედუარდო დე ფილიპო. სწორედ ეს შესანიშნავი ხელოვანი ენახეთ 1950 წელს გადაღებულ მისივე ფილმში „ნეაპოლი — მილიონერების ქალაქი", ასე რომ შეაყვარა ჩვენს მაყურებელს მხიარული და სიცოცხლისმოყვარული ნეაპოლელები. გავიხსენოთ პატარა ჩია კაცი, რომლის ასიმეტრულ სახეს დღეს მთელი მსოფლიო იცნობს. ეს ნეაპოლის მკვიდრია — ცნობილი კინოკომიკოსი ანტონიო დე კურტისი ანუ როგორც მას უბრალოდ ეძახდნენ — ტოტო...

მეორე მსოფლიო ომის დროს ნეაპოლმა საკმაო ზარალი განიცადა. ფაშისტთა თვითმფრინავები ბომბავდნენ მუშათა კვარტალებს, საპორტო რაიონებს, მშრომელთა უბნებს. 1943 წლის სექტემბრის ბოლოს ნეაპოლელმა პატრიოტებმა, ისევე, როგორც ოდესლაც მამაცმა გარიბალდიელებმა ვალტურნოს მდინარის ველზე მეფის ჯარებთან გამარჯვებისას, ოთხდღიანი ბრძოლების შემდეგ გაათავისუფლეს მშობლიური ქალაქი ჰიტლერულ ოკუპანტებისაგან. ნეაპოლელები ამაყობენ თავიანთი გმირებით, ამაყობენ მთელს იტალიელ ხალხთან ერთად რუსი თევდორე პოლეტაევისა და ქართველი ფორე მოსულიშვილის სახელებით, რომლებიც მათი ქვეყნის თავისუფლებისათვის იბრძოდნენ ომის მრისხანე წლებში და მათს მიწაზევე დაეცნენ გმირთა სიკვდილით.

...სექტემბერში ნეაპოლის კვარტალ პიედიგროტადან გიტარის, ვიოლინოს, მანდოლინის გულშიჩამწვდომი ხმები ისმის. შემოდგომის პირველ თვეს აქ ტრადიციული დღესასწაული იმართება. მომღერლები ახალ სიმღერებს ასრულებენ, რომლებიც შემდეგ მთელს იტალიას ედება. ნეაპოლელები სტუმრებს ტრადიციულ „სპაგეტის", ვეზუვის თეთრ ღვინოსა და, ცხადია, მხიარულ სიმღერებს სთავაზობენ.

ნეაპოლი დღეს (ზემოთ) ასეთი იყო ნეაპოლი საუკუნის დასაწყისში (მარცხნივ); ნეაპოლის ცნობილი შადრევანი მედინა (მარჯვნივ).



ARCHIV EBRAICHEBI

„ნაპოლის“

ფეხბურთის კლუბი

იტალიის ქალაქ ნეაპოლის „ნაპოლის“ ფეხბურთის კლუბი 1904 წელს დაარსდა. შემდგომ „ნაპოლი“ შეუერთდა ნეაპოლის მეორე კლუბს „ინტერნაციონალეს“ და ახალი სახელწოდება — „ინტერნაპოლი“ მიიღო. 1926 წლიდან „ნაპოლი“ კვლავ პირვანდელი სახელით გამოდის, მატჩებს ატარებს ნეაპოლის „სან-პაოლოს“ სტადიონზე, რომელიც 90 ათას მაყურებელს იტევს.

პირველი საერთაშორისო მატჩი „ნაპოლიმ“ ჯერ კიდევ 1912 წელს გამართა და მას შემდეგ ბევრი შეხვედრა აქვს ჩატარებული საზღვარგარეთულ გუნდებთან როგორც ნეაპოლში, ასევე მეტოქეთა სტადიონებზე.

აღსანიშნავია, რომ „ნაპოლი“ არასოდეს ყოფილა იტალიის ჩემპიონი, ხოლო თასს ორჯერ (1962 და 1976 წ.) ფლობდა. როგორც თასის მფლობელი იგი გასულ წელსაც მონაწილეობდა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, სადაც ნახევარფინალამდე მიაღწია — ბელგიის „ანდერლეხტთან“ გაიმარჯვა ნეაპოლში 1:0, ხოლო სტუმრად წააგო 0:2.

„ნაპოლის“ უკვე უთამაშია საბჭოთა ფეხბურთელებთან — 1975 წელს უეფა-ს თასის გათამაშების პირველ მატჩებში იგი ორჯერ შეხვდა მოსკოვის „ტორპედოს“ (მოსკოვში დამარცხდა 1:4, ნეაპოლში ფრედ ითამაშა — 1:1).

უეფა-ს თასის წლევანდელ გათამაშებაში „ნაპოლი“, რომელმაც გასულ წელს იტალიის ჩემპიონატში მე-6 ადგილი დაიკავა, მონაწილეობს თავისი ქვეყნის სამ გუნდთან — „მილანთან“, „ტორინოსთან“ „ლანეროსიხთან“ ერთად. საქმე ის არის, რომ ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გამოსული მილანის „ინტერნაციონალე“, როგორც იტალიის თასის მფლობელი, თასების თასისთვის იბრძვის. საინტერესოა, რომ ქვეყნის თასის გათამაშების ფინალში „ნაპოლი“ უგებდა „ინტერს“ 1:0, მაგრამ დამარცხდა 1:2.

„ნაპოლი“ საკმაოდ ძლიერი კლუბია, თუმცა შემადგენლობაში ვარსკვლავები არა ჰყავს. არგენტინის ჩემპიონატში მონაწილე „სკუადრა აძურაში“ ნეაპოლიდან არავინ იყო, მანამდე კი ქვეყნის ნაკრების 40 კანდიდატთა შორის მიწვეულნი იყვნენ „ნაპოლის“ მოთამაშეები — ცენტრალური თავდამსხმელი, 31 წლის ჯუზეპე სავოლდი და 25 წლის გარემარბი ლიციო პინი. მათ გარდა გუნდში აღსანიშნავია ნახევარმცველები ანტონიო ჯულიანო, მცველები ჯუზეპე ბრუსკოლეტი და საურო კატელანი.

კიდევ ერთი გოლი ნეაპოლის სტადიონზე.

ტყავის ბურთის ღიმილი

„ეპისკოპოსი“ — მსაჯი

—... როდესაც მე თამაშის შემდეგ რომის სტადიონიდან ვბრუნდებოდი, გულშემატკივრებმა ხელების კოცნა დამიწყეს.

— როგორც ჩანს, მართლაც საუცხოოდ ჩაგიტარებიათ მატჩი?

— ო, რას ბრძანებთ! უბრალოდ ეპისკოპოსის ტანსაცმელი მეცვა, შეუმჩნევლად რომ გავპარულიყავი სტადიონიდან...

ორი რეკორდი

„ბრეშიას“ კლუბის მოთამაშემ მაციამ იტალიის ჩემპიონატში თავისებური რეკორდი დაამყარა: მე-18 წამზე გაიტანა ბურთი მეტოქის კარში. მომდევნო მატჩში მაცია კვლავ შეიტანეს „რეკორდსმენთა“ სიაში — ამჯერად მან 20 წამში გაიტანა გოლი... საკუთარ კარში.

27 წელიწადი უგოლოდ

იტალიის უმაღლესი ლიგის გუნდების „ბოლონიასა“ და „გენუას“ მატჩებში 27 წლის მანძილზე არც ერთი გოლი არ გასულა. წელს მათ აგრეთვე არ დაარღვიეს ტრადიცია — კვლავ 0:0.

„საკუთარი მიზანი“

მილანის კლუბთან „ინტერნაციონალესთან“ თამაშის წინ „ლაციოს“ გუნდის თაყვანისმცემლებმა ფეხბურთის ორივე კარი წითელ-შავ ფერებში („ინტერის“ ფორმის მსგავსად) შეღებეს. და აი, საოცრებავ! მილანელმა თავდამსხმელებმა ვერც ერთხელ ვერ აიღეს მეტოქის კარი. მართლაც ძნელია, ურტყა „საკუთარ მიზანს“.

ოპტიკოსი ოპტიკოსად რჩება

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარულმა კომისიამ დასჯა ცნობილი მეკარე გროსო. საქმე ის არის, რომ ერთ-ერთი მატჩის დროს მან შენიშვნა მისცა მსაჯს „თქვენთვის საჭიროა სათვალეს ტარება“. ცხადია, ამან არბიტრის საკმაოდ გულმოხული რეაქცია მოჰყვა — მან ხაჩივარი დაწერა დისციპლინარულ კომისიაში. სხდომაზე საგანგებოდ გამოძახებულმა გროსომ განაცხადა, რომ მას აზრადაც არ ჰქონდა შეურაცხყოფა მიეყენებინა მსაჯისათვის. საქმე ის არის, რომ იგი პროფესიით ოპტიკოსია და შეამჩნია, რომ მსაჯს მაინცდამაინც არ უნდა ჰქონდეს კარგი მხედველობა. კონფლიქტი ამოიწურა: მეკარემ პირობითი სასჯელი მიიღო, ხოლო არბიტრმა შეიძინა სათვალე... ფეხბურთელის პირადი რეცეპტით.

თუ გაიმარჯვებთ...

ჩვენი დღევანდელი მეტოქე — იტალიის ფეხბურთის კლუბი „ნაპოლი“ ყველაზე პოპულარულია ქვეყანაში, რაზეც მისი თაყვანისმცემელთა დიდი რაოდენობა მეტყველებს. მაგალითად, გასულ სეზონში საკუთარ სტადიონზე ერთ მატჩზე იგი საშუალოდ 70 ათასზე მეტ მაყურებელს აგროვებდა ტრიბუნებზე. „გაიმარჯვეთ მომავალ ჩემპიონატში და ჩვენს სტადიონს „სან-პაოლოს“ 80-დან 120 ათასამდე გავზრდით!“ — განუცხადეს ფეხბურთელებს კლუბის მენეჯერებმა.

ELIBRARY.GEORGIAN-EPOCHA.COM